საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/40

02 აპრილი, 2020 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს *უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მოსაწვევ პერსონალთან გასაფორმებელი <u>პირობითი</u> შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ*

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №3 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მოსაწვევ პერსონალთან (დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე პირი - შემდეგში ,,მასწავლებელი"/ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი - შემდეგში ,,უფროსი მასწავლებელი") გასაფორმებელი პირობითი შრომითი ხელშეკრულების თანდართული ფორმა (**დანართი 1**).
2. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს:
   ა) ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მოსაწვევ პირთა შესახებ ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის (ან მისი ვიზირებით ბსუ-ს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის) სამსახურებრივი ბარათის (თანდართული მოსაწვევი პირის კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის, პირადობის მოწმობის და CV-ით) საფუძველზე, მათთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს მოსაწვევ პირებთან პირობითი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება;
   ბ) გაფორმებული პირობითი შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის შემდეგ მათი სკანირება და ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად შესაბამისი ფაკულტეტისათვის გადაგზავნა.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები).
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 02 აპრილის №01-02/40 ბრძანების

დანართი 1

შრომითი ხელშეკრულება №
(პირობითი)

ქ. ბათუმი ------- ---------- -------

რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"/„უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ———————————— ———————————— (შემდეგში **„დასაქმებული"**) შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს უმაღლესი **საგანმანათლებლო პროგრამის „**----------" **(შემდეგში „პროგრამა") სასწავლო კურსის „**----------**"** წარმართვასთან დაკავშირებული **სამომავლო** შრომითი ურთიერთობის **(შემდეგში „შრომითი საქმიანობა")** დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის (კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებული), წინამდებარე პირობითი შრომითი ხელშეკრულების, პროგრამის განხორციელების დაწყებამდე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შესაბამის აკადემიურ სასწავლო წელს გამოცემული დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე (ეს უკანასკნელი განიხილება წინამდებარე პირობითი შრომითი ხელშეკრულების ნაწილად, რექტორის ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას.

1.3. საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) მოწვეული პირის სტატუსი (მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი);

ბ) საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულების დასახელება, საიდანაც მოწვეულია პირი;

გ) შესაბამისი სასწავლო კურსი (კრედიტებში);

დ) პედაგოგიური საქმიანობის/სამუშაო დატვირთვის სახე (ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ლაბორატორიული/პრაქტიკული, სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა და სხვა);

ე) სამუშაო დატვირთვის მოცულობა საათებში;

ვ) სამუშაო დატვირთვის შესრულების ადგილი;

ზ) სამუშაოს შესრულების პერიოდი (სემესტრი);

თ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. **დასაქმებულს უფლება აქვს:**

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის (სილაბუსის) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

გ) ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულებით, ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი პირობებითა და ვადით;

დ) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან.

2.2. **დასაქმებული ვალდებულია:**

ა) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) შრომითი საქმიანობა წარმართოს სასწავლო პროცესის/პედაგოგიური საქმიანობის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და სხვა), შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის მართვის ორგანოთა აქტებისა და ბსუ-ს სასწავლო პროცესის ცხრილების შესაბამისად;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის შემდგომ სრულყოფა-გაუმჯობესებაზე და სასწავლო პროცესში გამოიყენოს ბსუ-ში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები;

დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;

ე) შეასრულოს ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნები და რეგულარულად გაეცნოს ბსუ-ს წესდებაში, შინაგანაწესში, ეთიკის კოდექსში, ბსუ-ში აკადემიური (პედაგოგიური) საქმიანობის და სწავლების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, მათ შორის შესაბამის აკადემიურ სასწავლო წელს დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებს ან/და დამატებებს, რომლებიც დასაქმებულს მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ–ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები;

ბ) უზრუნველყოს დასაქმებულის აკადემიური თავისუფლება, რათა ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის (სილაბუსის) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

გ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

დ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობა (არანაკლებ 13 ლარი) განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული. შრომის ანაზღაურების კონკრეტული ოდენობა (ტარიფი) აისახება პროგრამის განხორციელების დაწყებამდე დასაქმებულთან დადებულ შრომითი ხელშეკრულებაში;

3.2. ანაზღაურება გაიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე (მზადდება დასაქმებულის ყოველწლიური საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების, შრომითი ხელშეკრულებისა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო საათების შესახებ ბსუ-ს უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ბარათის (აქტის) საფუძველზე).

3.3. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადის დაქვითვით

(თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მოწოდებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

***მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და* დასკვნითი დებულებები**

4.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- და მოქმედებს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული პროგრამის განხორციელების პერიოდში.
4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის წელს პროგრამის განხორციელების დაწყებამდე ერთი თვით ადრე);
ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.
4.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.
4.5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ადმინისტრაციული მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32)	სახელი, გვარი ---------- პირადი ნომერი ---------- რეგისტრ. მის.: ---------- ფაქტ.საცხ.ადგ: ---------- ელექტ.მისამარ. ---------- ----- საკონტ.ტელ. ---------- საბანკო რეკვიზიტი: ---------- ----------
რექტორი, ასოც პროფესორი	
_____	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)